



ოქმი:ო37.37210362

თარიღი:05/02/2021

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის დ. მამალაძის
ანგარიშის მოსმენის სხდომის
ოქმი**

ქ. ოზურგეთი 2021 წ. 05.02.

16.00-17.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: წევრის ამომრჩევლები, კოლეგები, ფრაქცია „მშრომელთა და ხელმოკლეთა ინტერესებისათვის“-თავმჯდომარე შ. გოგიბერიძე.

საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს - აღნიშნა, რომ დაიწყო საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება, განაცხადა, რომ დ. მამალაძე აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, ფრაქციისა და კომისიების მუშაობაში.

საკრებულოს წევრმა დ. მამალაძემ საკრებულოს რეგლამენტის 131 -ემუხლის შესაბამისად ვრცლად წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში- 2019 წლის ნოემბრიდან 2020 წლის ნოემბრამდე - როგორც საკრებულოს, საკრებულოს ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში.

ისაუბრა საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე, ფრაქციის ინიციატივებზე-ბავშვთა ბაღების, „სერვისცენტრის“ თანამშრომლებისათვის ხელფასების გაზრდის, სოციალური საჩარძოების მშენებლობის და სხვა საკითხებზე. უპასუხა დასმულ შეკითხვებს. აღნიშნა, რომ მომავალში მისი საქმიანობის ძირითადი გამოწვევა იქნება ამომრჩევლებთან უფრო აქტიური მუშაობა.

ფრაქციის თავმჯდომარემ - შ. გოგიბერიძემ, ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. აღნიშნეს, რომ დ. მამალაძე მაღალი პასუხისმგებლობით და პროფესიონალურად უდგება მოსახლეობის მიერ დასმულ ყოველ პრობლემას, კოლეგიურად, ურთიერთ თანამშრომლობით აგვარებს მნიშვნელოვან საკითხებს, წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად პასუხობდა რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ მუშაობაში.

ამომრჩევლებისა და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის დ.

დარჩიას წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

